ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5758881

ნომერი: AR1872053

თარიღი : 10.01.2022

გაცემის თარიღი : 12.01.2022

გაცნობის თარიღი : 17.01.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 76ბ , (ნაკვეთი N039/032);

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კაპანაძე პ/ნ 01024025473
- ქ.თბილისი ბახტრიონის 10 ბ

ორგანიზაცია:

- შპს skyglass კოდი: 404971955

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საჭიროა პირველ რიგში ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და ნაცვლად არჩეულისა აირჩიოთ: დროებითი საძირკვლის არმქონე შენობა ნაგებობა - დემონტაჟი და დროებითი საძირკვლის არმქონე შენობა ნაგებობა - ახალი მშენებლობა თუმცა ამ შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება შემდეგი: ვინაიდან გაურკვეველია არსებული ბოძკინტების კანონიერება, პირველ რიგში წარმოსადგენია მისი კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აღნიშნული დოკუმენტაციის არ არსებობის შემთხვევაში საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მინიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციას დემონტაჟის განსახორციელებლად. აღნიშნულის შემდგომდამატებით წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

1. შპს ბიზნესცენტრი ვაჟა ფშაველა 76 ბ-ის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმართ, იჯარა, ქირავნობა და ა.შ საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული .გაითვალისწინეთ "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ერთ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ასევე საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ამხანაგობა „ვაჟა-ფშაველას 2007“-ის სადამფუძნებლო დოკუმენტაციასთან ერთად.
2. წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა მასზე საპროექტო ბოძკინტების ჩვენებით.
3. წარმოსადგენია საპროექტო ფოტომონტაჟი ასევე განახლებული ფოტომასალა ფოტოფიქსაციის თარიღის მითითებით.
4. მიწის ნაკვეთის შემოღობვა ან/და მიწის ნაკვეთის შესასვლელთან ბარიერების მოწყობის შემთხვევაში, საჭიროა განმცხადებელმა წარმოადგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი წერილი, რომელშიც მითითებული იქნება განსახორციელებელი სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოების სახანძრო უსაფრთხოების მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებთან დასაშვებობის/შესაბამისობის თაობაზე. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე წარმოდგენილ უნდა იქნეს წერილზე თანდართული დანართები.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.